


დამატებით ხარჯების განაწილების დოკუმენტით პროგრამაში აისახება მარაგის ტრანსპორტირებასთან ან მარაგის შექმნასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების მიკუთვნება შესყიდულ მარაგზე. გასათვალისწინებელია, რომ ხარჯის შესყიდვა უნდა მოხდეს ცალკე შესყიდვის დოკუმენტით ([როგორ შევსოვო მარაგის შექმნასთან დაკავშირებული ხარჯი](#)).

დამატებითი ხარჯების განაწილების შექმნა


- ძირითად მენიუში აირჩიეთ შესყიდვების ქვესისტემა
- ოპერაციების ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი „დამატებითი ხარჯების განაწილება“



- დააჭირეთ „შექმნა“ ღილაკს
- შეავსეთ „ხარჯების“ ცხრილური ნაწილი ხარჯის შესყიდვის დოკუმენტის (ღილაკი „დამატება შემოსვლიდან“) (1), ან აკუმულირებული ხარჯებისთვის განკუთვნილი ანგარიშის (ღილაკი „დამატება ანგარიშის მიხედვით“) (2) არჩევით. ცხრილი ავტომატურად ივსება გასანაწილებელი თანხის მიხედვით, თუმცა შესაძლებელია მისი კორექტირება ველში „თანხა“ სასურველი მნიშვნელობის შეყვანით.

შენიშვნა: დამატებითი ხარჯების განაწილების დოკუმენტში, ხარჯების ცხრილურ ნაწილში შემოსავლის დოკუმენტის ასარჩევად, აუცილებელია ხარჯი შესყიდული იყოს დამატებითი ხარჯების ანგარიშზე. ასევე დამატებით ხარჯების შესყიდვის დოკუმენტის თარიღი უნდა უსწრებდეს დამატებითი ხარჯების განაწილების დროს. სხვა შემთხვევაში ხარჯების ცხრილურ ნაწილში ვერ მოხერხდება შესყიდვის დოკუმენტის დამატება.

- საჭიროების შემთხვევაში შეცვალეთ კონკრეტული ხარჯისთვის „განაწილების წესი“



განაწილების წესი	აღწერა
თანხის მიხედვით	ხარჯის თანხა ნაწილდება საქონლის თანხის პროპორციულად
რაოდენობის მიხედვით	ხარჯის თანხა ნაწილდება საქონლის რაოდენობის პროპორციულად
წონის მიხედვით	ხარჯის თანხა ნაწილდება საქონლის წონის პროპორციულად
TEU	ხარჯის თანხა ნაწილდება ტრანსპორტის ზომის რესურსის გამოყენებით თითოეული პროდუქციის მოცულობის პროპორციულად (როგორ მაგმოვიყენოთ დამატებითი ხარჯების განაწილების წესი TEU)

- შეავსეთ „საქონლის შემოსვლის დოკუმენტების“ ცხრილური ნაწილი იმ შესყიდვის ოპერაციებით, რომლებზეც უნდა მოხდეს ხარჯების გადანაწილება. „დამატება“ (3) ღილაკზე დაჭერით აირჩიეთ სასურველი დოკუმენტი. შესაძლებელია რამდენიმე შესყიდვის დოკუმენტის ერთდროულად არჩევა, გამოსულ ფორმაზე რამდენიმე შესყიდვის დოკუმენტის არჩევითა და „არჩევა“ ღილაკზე დაჭერით. არჩეული შესყიდვის დოკუმენტების მიხედვით ივსება საქონლის ცხრილი. შესყიდვის დოკუმენტების მონიშვნისას საქონლის ცხრილში აისახება ამ შესყიდვის დოკუმენტით შესყიდული საქონელი.
- დააჭირეთ „ხარჯების განაწილება“ ღილაკს „ხარჯების“ ჩანართზე

დამატებითი ხარჯების განაწილება (შექმნა) *

გატარება და დახურვა | ჩაწერა | გატარება | მუშავება

05.11.2018 0:00:00 | ახალი | განაწილების მითითდა | ავტო | შექმნილი

ნარჩები (1)

N	აღრიცხვის ანგარიში	მათი	თანხა	განაწილების წესი	ხარჯების დოკუმენტი
1	1691		300.00	300.00	თანხის მიხედვით
			300.00	300.00	

საქონლის შემოსვლის დოკუმენტი (2)

N	მონოდელის ტიპი	ვალუტა	საქონლის შემოსვლის დოკუმენტი
1	LTD 000RS	GEL	შესიდავა 593-03-11.2
			5 259.00
2	LTD 000RS	GEL	შესიდავა 594-04-11.2
			2 049.00

საქონელი (2) | დამატებითი

N	არტუელი	ნომენკლატურა	ერთ.	რაოდენობა	წონა	თანხა	ხარჯის თანხა	აღრიცხვის ანგარიში
1		კარები MCF 220/88	ცალი	15.0000		4 449.15	216.05	1610
2		ფანჯრები	ცალი	12.0000		1 728.81	83.95	1610
						6 177.96	300.00	

- დოკუმენტის გატარებისთვის დააჭირეთ „გატარება“ ან „გატარება და დახურვა“ ლილავს.

როგორ მოვიყენოთ დამატებითი ხარჯების განაწილების წესი TEU

მაგალითი:

შესყიდულია შემდეგი საქონელი:

- 1) კარები - 20 ცალი - ფასი 120 ლ (ტევადობა ერთ ტრანსპორტზე 100ცალი)
- 2) ფანჯრები - 10 ცალი - ფასი 85 ლ (ტევადობა ერთ ტრანსპორტზე 200ცალი)
- 3) ტრანსპორტირება - 150 ლ

კომპანიას სურს დამატებითი ხარჯების განაწილება შესყიდულ საქონელზე

- შექმენით დამატებითი ხარჯების დოკუმენტი ([დამატები ხარჯების განაწილება](#))
- აირჩიეთ ხარჯების და შემოსავლის დოკუმენტები
- განაწილების მეთოდში აირჩიეთ TEU
- დააჭირეთ ლილავს „ხარჯის განაწილება“

კარების შემთხვევაში ხარჯის თანხა იქნება 120ლ, ხოლო ფანჯრების შემთხვევაში 30ლ =

- 1) საქონლის რაოდენობა / ტევადობაზე = 20/100 (კარები)
- 2) საქონლის რაოდენობა / ტევადობაზე = 10/200 (ფანჯრები)
- 3) ჯამური ტევადობის წილი = 50/200

- 4) კარების ხარჯის წილი = $20/100 : 50/200 = 4/5$
- 5) კარების ხარჯის თანხა = $4/5 * 150 = 120$
- 6) ფანჯრების ხარჯის წილი = $10/200 : 50/200 = 1/5$
- 7) ფანჯრების ხარჯის თანხა = $1/5 * 150 = 30$

დამატებითი ხარჯების განაწილება (შექმნა) *

დამატება და დაბრუნება | ჩანაწერი | დატარება | შექმნა | მუშაობა

20.11.2018 6:00:00 | ახალი | განაწილების მეთოდი | ავტო | შექმნილი

საქონელი (1)

N	აღრიცხვის ანგარიში	ხაზით	თანხა	განაწილების წესი	ხარჯების დოკუმენტი
1	1691		150.00	TELU	შესაიდვა 505 - 27.11.2018
			150.00		

საქონლის შემოსვლის დოკუმენტი (2)

N	მომწოდებელი ტიპი	ვალუტა	თანხა	საქონლის შემოსვლის დოკუმენტი
1	LTD DOORS	GEL	2.632.00	შესაიდვა 506 - 20.11.2
2	LTD DOORS	GEL		შესაიდვა 507 - 22.11.2
			1 003.00	

საქონელი (2)

N	არტფული	ნომენკლატურა	ერთი	რაოდენობა	წონა	ტევადობა ერთ ტრანსპორტ...	თანხა	ხარჯის თანხა	აღრიცხვის ანგარიშ...
1		კარები MDF 220/80	დალი	20.0000		120.00	2.400.00	120.00	1610
							3 250.00	150.00	

დამატებითი ხარჯების მექანიკური განაწილება

დამატებითი ხარჯების მექანიკურად გასანაწილებლად განაწილების მეთოდში აირჩიეთ „მექანიკური“. ამ დროს ხარჯების ცხრილში აღარ მიეთითება „განაწილების მეთოდი“, ხოლო, საქონლის ცხრილში ხარჯის თანხის ველი გახდება ხელმისაწვდომი. ველში შეიყვანეთ კონკრეტულ საქონელზე გასანაწილებელი ხარჯის თანხა.

დამატებითი ხარჯების განაწილება 1 - 20.12.2020 *

დამატება და დაბრუნება | ჩანაწერი | დატარება | შექმნა | მუშაობა

00060000001 | 05.11.2018 0:00:00 | არ არის დატარებული | განაწილების მეთოდი | ავტო | შექმნილი

ხარჯები (1)

N	აღრიცხვის ანგარიში	ხაზით	თანხა	ხარჯების დოკუმენტი
1	1691		300.00	შესაიდვა 502 - 05.11.2018
			300.00	

საქონლის შემოსვლის დოკუმენტი (2)


N	მომწოდებელი ტიპი	ვალუტა	თანხა	საქონლის შემოსვლის დოკუმენტი
1	LTD DOORS	GEL	5 250.00	შესაიდვა 503 - 03.11.2
2	LTD DOORS	GEL		შესაიდვა 504 - 04.11.2
			2 040.00	

საქონელი (2)

N	არტფული	ნომენკლატურა	ერთი	რაოდენობა	წონა	თანხა	ხარჯის თანხა	აღრიცხვის ანგარიშ...
1		კარები MDF 220/80	დალი	15.0000		4 449.15	120.00	1619

გადავსება

იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი ხარჯების განაწილების შემდეგ შეიცვალა შემოსვლის დოკუმენტის შემადგენლობა, როდესაც გატარებულ დოკუმენტს ხელახლა გავხსნით და „საქონლის შემოსვლის დოკუმენტის“ თანხა (დღგ-ის გარეშე) განსხვავდება „საქონლის“ ჩანართის ცხრილში არსებული თანხისგან, საჭიროა დამატებითი ხარჯების განაწილების დოკუმენტში შესყიდული მარაგების შესახებ მონაცემების განახლება.



ლილაკზე „გადავსება“ ¹ დაჭერით საქონლის ცხრილი ახლიდან შეივსება მონიშნული შესყიდვის დოკუმენტის მიხედვით. დოკუმენტის კორექტულად გაფორმებისათვის საჭირო იქნება ხარჯების ხელახალი გადანაწილება „ხარჯების განაწილება“ ² ლილაკზე დაჭერით.

დამატებითი ხარჯების შესყიდვა

დამატებითი ხარჯებად კლასიფიცირდება მარაგის ტრანსპორტირებასთან, დაზღვევასთან ან მარაგის შექმნასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები, რომლითაც უნდა მოხდეს შესყიდული აქტივის ღირებულების გაზრდა.

- ძირითად მენიუში აირჩიეთ შესყიდვების ქვესისტემა
- შესყიდვის ოპერაციების ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი „შესყიდვები“
- დააჭირეთ „შექმნა“ ღილაკს ([როგორ გავაფორმო შესყიდვა](#))
სასურველი ოპერაციის ტიპის მიხედვით აირჩიეთ შესაბამისად ან „[შესყიდვა მომწოდებლისგან](#)“ ან „[შესყიდვა ანგარიშვალდებული პირის მიერ](#)“
- აირჩიეთ მომწოდებელი
- შეავსეთ ცხრილში შესყიდული მომსახურების (ან მომსახურებების) შესახებ ინფორმაცია, „ნომენკლატურა“ ან „სხვა აქტივები და მომსახურება“ ჩანართზე, იმის მიხედვით მომსახურება დამატებული გაქვთ თუ არა ნომენკლატურის ცნობარში.
- შესაბამის სტრიქონში ველში „აღრიცხვის ანგარიში“ აირჩიეთ დამატებითი ხარჯის კლასის აღრიცხვის ანგარიში*. ნომენკლატურის ჩანართზე მომსახურების არჩევისას აღნიშნული ველი ავტომატურად ივსება ნომენკლატურის ბარათის მიხედვით ([როგორ დავამატო ნომენკლატურა](#)).

N	შენიშვნა	თა.	თანხა	აღრიცხვის ანგარიში	ანალიტიკა
1	ტრანსპორტირება		170.00	1691	

- დააჭირეთ „ჩაწერა“, „გატარება“ ან „გატარება და დახურვა“ ღილაკს.

შენიშვნა: დამატებითი ხარჯების აღრიცხვის ანგარიშებზე დაგროვებული ხარჯები უნდა განაწილდეს შესყიდვით შემოსული საქონლის თვითღირებულებაზე. (როგორ გავანაწილოთ დამატებითი ხარჯები).

ვინაიდან უმეტესად დამატებითი ხარჯი ზრდის სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულებას, ამიტომ ანგარიშთა გეგმაში დამატებითი ხარჯის ანგარიშები მოქცეულია